



N 08/710
30/11/2022

710-08-2-202211301815



<https://edocument.ge/AdjaraGov/public>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს
დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს
ბატონ ფრიდონ ფუტყარაძეს

ასლი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ზაზა შავაძეს

ბატონო ფრიდონ,

გაცნობებთ, რომ თქვენი 2022 წლის 1 ნოემბრის N09-02-16/683 კორექონდენცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს 2022 წლის 2 ნოემბრის N09-02-16/683 წერილით მოსაზრებებისა და წინადადებების წარმოდგენის მიზნით გადაგზავნილი იქნა სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტოში. სსიპ - აჭარის სატყეოს სააგენტოს მიერ შესწავლილ და განხილული იქნა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ტყის არსებული მდგომარეობის შესახებ“ თემატური მოკვლევის პროექტი და აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოდგენილი იქნა შესაბამისი მოსაზრებები და წინადადებები.

გეგზავნებათ სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტოს 2022 წლის 30 ნოემბრის N09/2052 კორექსონდენცია.

დანართი: სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტოს კორექსონდენცია (N09/2052, 30.11.2022) – 5 ფურცელი.

პატივისცემით,

ჯემალ ნაკაშიძე

სამმართველოს უფროსი





6010 ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N51
ტელ: (0422 27 28 93)
N 09/2052
30/11/2022

N51, Pridon Khalvashi Ave, Georgia 6010
Tel: (0422 27 28 93)

2052-09-2-202211300955



<https://edocument.ge/AdjaraGov/public>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების
სამმართველოს უფროსს ბატონ ჯემალ ნაკაშიძეს

ბატონო ჯემალ,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის 01/11/2022წ. N09-02-16/689 კორესპონდენციის პასუხად, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ტყის არსებული მდგომარეობის შესახებ“ წარმოგიდგინებ თემატური მოკვლევის პასუხებს.

აჭარის ტყეების თანამედროვე მდგომარეობა შემდეგი მონაცემებით ხასიათდება: ტყის ტერიტორიის საერთო ფართობი შეადგენს 187 825 ჰექტარს, აქედან სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებაშია 150 117 ჰექტარი, ხოლო 37 708 ჰექტარი უჭირავს დაცულ ტერიტორიებს, საიდანაც სახელმწიფო ნაკრძალს და აღკვეთილს უჭირავს 3 890,7 ჰა; მ.შ. კინტრიშის ნაკრძალი - 3 108 ჰა; ქობულეთის ნაკრძალი - 316,4 ჰა; ქობულეთის აღკვეთილი - 466,3 ჰა;

ეროვნული პარკებს უჭირავს 33 438,6 ჰექტარი ფართობი, მ.შ. კინტრიშის ეროვნული პარკს - 10 406 ჰა; მტირალას ეროვნულ პარკს -15 698,8 ჰა; მაჭახლის ეროვნულ პარკს - 7333,8 ჰა.

1. რამდენად დაცულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ტყე?

ზემოთ აღნიშნული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ტყის მართვას, დაცვას და მოვლა-აღდგენით სამუშაოებს ახორციელებს სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტო და სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტო, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქობულეთისა და კინტრიშის ნაკრძალ ტერიტორიებზე ტყის ბუნებრივი განახლება, დარგვა, გზების მშენებლობა და სხვა სახის სამეურნეო ღონისძიებების განხორციელება, გარდა განსაკუთრებული შემთხვევისა, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის, ამიტომ აღნიშნულ ტერიტორიებზე, ტყეების დიდი ნაწილი ხელუხლებელია და შენარჩუნებული აქვს პირვანდელი სახე.

სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე, ასევე ბევრია ხელუხლებელი ტყის ფართობები. დაახლოებით 4 000 ჰექტარზე მეტ ფართობზე ტყეს შენარჩუნებული აქვს პირვანდელი სახე, მათ შორის შენარჩუნებულია კოლხური ფლორა თავისი პირვანდელი სახით და სილამაზით.

2. რა ხელშემშლელი ფაქტორები არსებობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ტყის სრულფასოვნად გამოყენებისთვის, მათ შორის, ტურისტული მიმართულებით გაძლიერების თვალსაზრისით?

სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტყეებს ძირითადად ნიადაგდაცვითი და წყალმარეგულირებელი ფუნქცია აკისრია. რეგიონში არ არის სამრეწველო ხასიათის, საექსპლუატაციო ტყე, საიდანაც შეიძლება სახელმწიფო ბიუჯეტმა დიდი რაოდენობით შემოსავალი მიიღოს. თუმცა არის დიდი რაოდენობით არამერქნული, აღდგენითი ხასიათის ერთწლიანი და მრავალწლიანი ბუნებრივი რესურსი (ხარიშუბლა, ძმერხლი, ნეგო, ყოჩივარდა, მოცვი, ასკილი, ჯონჯოლი, მაცვალი, სოჭისა და ნაძვის გირჩი და ბევრი სხვა), რომელსაც გარდა დეკორაციული და საკვები ღირებულებისა, სამკურნალო თვისებები გააჩნია და მისი წესების სრული დაცვით მოპოვებისა და გამოყენების შემთხვევაში, შეიქმნება ყოველწლიური სოლიდური შემოსავლის მიღების შესაძლებლობა, მაგრამ ჯერ-ჯერობით დადგენილი ბუნებრივი რესურსების სარგებლობისათვის არსებული მოსაკრებელი მნიშვნელოვნად დაბალია.

ასევე, მრავლადაა ტყის ისეთი ტერიტორიები, რომელიც წლის ყველა პერიოდში ტურისტისთვის და მეცნიერებისთვის საჭირო და მიმზიდველია თავისი ხედებით, მდინარეებით, ტბებით, ჩანჩქერებით, იშვიათი მარადმწვანე, ფოთოლმცვენი ხეებით, ბუჩქებით და წიწვოვანი ტყეებით.

3. როგორ შეაფასებდით ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების, ადგილობრივ თვითმმართველობების როლს ტყის შესაძლო აღდგენის, მათი ფუნქციური დატვირთვის გამრავალფეროვნების და გაჯანსაღების პროცესში მონაწილეობის თვალსაზრისით?

ხშირ შემთხვევაში ერთობლივად ხდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტოს მიერ პრობლემური საკითხების მოგვარება: ტყის დაცვა, (ხანძრები, უნებართვო ჭრები, ცნობიერების ამაღლება), მოვლა-აღდგენის, გარემოს საკითხების რეგულირების და ა.შ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, შესაბამისი სამინისტროები - სოფლის მეურნეობის, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, ხულოს, შუახევის, ქედის ხელვაჩაურის და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიები და საკრებულოები და სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო მუდმივ კავშირშია ერთმანეთთან, რაც შემდეგში გამოიხატება:

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 2014-2022 წლებში 1 100 ჰექტარ ფართობზე განხორციელდა ტყის ბუნებრივი განახლება აჩიქვანა შეღობვით;

ტყის სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით 2020-2021-2022 წწ., ტყის მავნე მწერების ზემოქმედებით მოიჭრა, გაიქერქა, ტყიდან გამოიზიდა და უსასყიდლოდ გადაეცა ხულოსა და შუახევის მოსახლეობას 12 000 კმ გამხმარი ხე-ტყე;

შესყიდულია რამდენიმე ერთეული მძიმე ტექნიკა, მსუბუქი ავტომანქანა, ხულოს შუახევისა და ხელვაჩაურის ტყის ტერიტორიაზე აშენდა კოტეჯის ტიპის მეტყევის სახლი;

2014-2022 წლებში ტყის სანიტარული მდგომარეობის გაჯანსაღების მიზნით შესყიდულია 10 500 ცალი მწერსაჭერი, საყრდენი ბოძი და 30 600 ცალი ფერომონი;

ქერქიჭამიებით დასახლებულ ნაძვნარ კორომებში 2014-2022 წლებში განთავსდა 30 600 ცალი ფერომონიანი მწერსაჭერი და მასზე განხორციელდა მომსახურეობის მონიტორინგი;

4. როგორ შეაფასებდით, ტყის პერსპექტივას მისი ფუნქციურად მრავლმხრივი დატვირთვის კუთხით?

საერთაშორისო დონეზე ტყის მრავალმხრივი დატვირთვის დიდი გამოცდილება არსებობს: რეკრეაციული, ბალნეოლოგიური, კურორტოლოგიური, სპორტულ-გამაჯანსაღებელი და სხვა. ბევრ ქვეყანაში ტყე, ყველა ამ თვისებას ერთდროულად მოკლებულია, ჩვენთან კი, მიუხედავად ტყის ტერიტორიის სიმცირისა, ყველა ამ თვისებით გამორჩეულია, რაც მატერიალურ-ეკონომიური შემოსავლების ერთ-ერთ ძირითად წყაროდ შეიძლება მივიჩნიოთ.

5. როგორ შეაფასებდით სამოქმედო მენეჯმენტ გეგმის შემუშავების აუცილებლობას ტყის მოვლა-პატრონობის, შენახვის, განაშენიანებისა და მოხმარების პროცესში?

ტყესთან დაკავშირებული ყველა სახის მენეჯმენტ გეგმა, რომელიც ეკონომიკურად ხელსაყრელი და სოციალურად მისაღები ალტერნატივების გზით, საქართველოს გარემოსა და ქვეყნის უნიკალური ბიოლოგიური თუ კულტურული მემკვიდრეობის, ასევე ტყის მოვლა-პატრონობის, შენახვის, განაშენიანების ან მოხმარება - დაცვასთანაა დაკავშირებული, გადაწყვეტილების მიღების პროცესი საზოგადოების მონაწილეობით და სოციალური სამართლიანობის პრინციპით უნდა განხორციელდეს, რომელიც მკაცრად უნდა ექვემდებარებოდეს მოქმედ კანონმდებლობას (ტყის კოდექსს, დებულებებს ნორმატიულ და სხვა აქტებს), ამავდროულად კონტროლს და ზედამხედველობას უნდა ახორციელებდეს სახელმწიფო.

6. რა დადებითი ან ნეგატიური ფაქტორები არსებობს კერძო სექტორის/ბიზნესის სათანადო ჩართულობისთვის ტყის აღდგენაში მონაწილეობის თვალსაზრისით?

სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტოს მიერ შემუშავებული ტექნიკური დავალების შესაბამისად განსახორციელებელ საქმიანობას (ტყის ბუნებრივი განახლება, გზების მშენებლობა, შეკეთება, ტყის მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის განსახორციელებელი სამუშაოები, ფერომონიანი მწერსაჭერების განთავსება, მონიტორინგი და სხვა) შესაბამისი ელექტრონული ტენდერის საფუძველზე ახორციელებენ კერძო სამართლის იურიდიული პირები, რის საფუძველზე შეიძლება ვთქვათ, რომ კერძო სექტორი/ბიზნესი სათანადოდ არის ჩართული ტყის აღდგენაში.

7. რა ძირითადი მიდგომები უნდა არსებობდეს ტყის დაცვის, მოვლის, აღდგენა-განაშენიანების და ტყის რესურსებით მდგრადი სარგებლობის დაგეგმვაში?

ტყის დაცვის, მოვლის, აღდგენა-განაშენიანების და ტყის რესურსებით მდგრადი სარგებლობის დაგეგმვა ისე უნდა ხდებოდეს, რომ შენარჩუნებული იქნეს ტყის ბიომრავალფეროვნება, პროდუქტიულობა, განახლების უნარი, სიცოცხლისუნარიანობა და შესაბამისი ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური ფუნქციები ადგილობრივ ეროვნულ და გლობალურ დონეზე ისე, რომ ამან არ გამოიწვიოს სხვა ეკოსისტემების დარღვევა-დაზიანება. შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა განხორციელდეს მეცნიერული კვლევები, ამა თუ იმ სამეურნეო საქმიანობის განხორციელებით გამოწვეულ სამომავლო შედეგებთან დაკავშირებით.

8. რა ინფორმაციას ფლობთ საერთაშორისო გამოცდილების ან/და ისეთი ინოვაციური მიდგომების შესახებ, რამაც შესაძლოა ხელი შეუწყოს ტყის მოვლის და შენახვის პოპულარიზაციის გაზრდას?

ბოლო პერიოდში კლიმატის ცვლილებამ ბევრი ცოცხალი ორგანიზმი გადაშენების საფრთხის წინაშე დააყენა, რის გამოც საზღვარგარეთის ზოგიერთ ქვეყნებში შექმნილია ე.წ. ველური მცენარეების „სათესლე ბანკი“, რომელიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს მოწყვლადი ან გადაშენების პირას არსებული მცენარის აღდგენას;

ცალკეული მავნებელი მწერის, სასარგებლო ენტომოფაგების გამრავლება გავრცელების შემთხვევაში, ან დაავადების წინააღმდეგ არსებობს ინდივიდუალური მიდგომა. ლაბორატორიულ დონეზე მისი გენეტიკური თვისებებიდან გამომდინარე ხდება კვლევითი სამუშაოები;

სოკოვანი დაავადებების წინააღმდეგ შტამების გამოყვანის შემთხვევაში ტარდება PCR კვლევები დაფუძნებული მოლეკულურ ტესტირებაზე და სხვა;

9. ტყის დაავადებებთან ბრძოლის რა მეთოდები არსებობს?

ტყის მავნებელ - დაავადებებთან ბრძოლის სხვადასხვა მეთოდია ცნობილი: აგროტექნიკური ბრძოლის მეთოდი, ფიზიკური და მექანიკური მეთოდი, ბიოლოგიური მეთოდი, ქიმიური მეთოდი, ინტეგრირებული ბრძოლა, მცენარეთა კარანტინი.

დღეისათვის ნაკლებად იყენებენ ქიმიურ მეთოდს, ხოლო დანარჩენი მეთოდები უსაფრთხოა და გამოყენებადი. სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტო აქტიურად გამოიყენებს ბრძოლის ბიოლოგიურ მეთოდს, მავნებელ მწერებთან ბრძოლის ინტეგრირებულ მეთოდს და ფიზიკურ-მექანიკურ მეთოდს, რამაც სერიოზული შედეგი მოიტანა.

ქერქიჭამია ტიპოგრაფის განადგურებისა და ნამძვარი კორომების, სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით 2014-2022 წლებში, ხულოს, შუახევისა და ქობულეთის სატყეო ადმინისტრაციების სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე, სახელმწიფო მიზნობრივი როგრამის ფარგლებში სულ განთავსებული იქნა 30 600 ცალი ფერომონიანი მწერსაჭერი ხაფანგი, რომელთა მეშვეობით ამოღებულია 134კგ 500გ მავნე მწერი: **1გრ=185 ცალი.**

10. როგორ ხდება დაავადებული კორომების მოვლა და აღდგენა?

საველე პირობებში საჭიროა დაკვირვება და კვლევითი სამუშაოების განხორციელება, ბრძოლის ღონისძიებების სწორად შერჩევა. სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტო 2014 წლიდან ტყის მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის ინტეგრირებული ღონისძიებას ახორციელებს ნაძვის ქერქიჭამიას წინააღმდეგ, სადაც ერთდროულად გამოიყენებს ფერომონიან მწერსაჭერებს, ქერქიჭამიებით დასახლებულ ნაძვის ქერქში ასახლებს ენტომოფაგებს, როგორცაა: რიზოფაგუსი, ფორმიკარუსი და ქერქიჭამიების ზემოქმედებით გამხმარ ხეებს ჭრის, ამუშავებს და გამოაქვს ტყიდან.

შემდეგ ტყის აღდგენის მიზნით ხდება ჭრაგავლილი ფართობის გაწმენდა ჩახერგილობისგან, თუ საჭიროება მოითხოვს უნდა შემოიღობოს და ჩატარდეს აჩიქვნა.

11. რა ფორმით არის ინფორმირებული მოსახლეობა წითელი ნუსხის მცენარეების შესახებ და თუ ხდება მათი სათანადო დაცვა?

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ასევე ბუნების დაცვის დღეებთან დაკავშირებით ტყის საერთაშორისო დღე (21 მარტი), დედამიწის საათი (23 მარტი), დედამიწი დღე (22 აპრილი), ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო დღე (22 მაისი), გარემოს დაცვის საერთაშორისო დღე (5 ივნისი), მეტყევის დღე (10 ოქტომბერი), ხის დარგვის საერთაშორისო დღე (22 ოქტომბერი) და სხვა მწვანე დღეების თარიღთან დაკავშირებით, აჭარის ადმინისტრაციების სხვადასხვა სოფლებში, სხვადასხვა სკოლებში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში და მოსახლეობასთან ტარდება სწავლება, ტრენინგები ცნობიერების ამაღლების მიზნით, ტყის პრობლემებთან დაკავშირებით მათ შორის წითელი ნუსხით დაცული მცენარეების შესახებ.

პატივისცემით,

თემურ ყურშუბაძე

სააგენტოს უფროსი
ხელმძღვანელობა

